საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარიატებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სამშაბათი, 21 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 48 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 48

20 სექტემბერს 1818 წ. ინგლისის სარდლობის, სოციალ-ვამცემლების და თეთრგვარდიელების საიდუმლო მოლაპარაკებით კასპიის იქეთა მხარეში დახვრეტილი იქნა

## 26 ბაქოს კომუნარი:

ამხ. ამხ. სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, მეშადი აზიზბეკოვი, ვანო ფიოლეტოვი, პავლე ზევინი, პეტროვი, გრიგოლ ყორღანოვი, არსენ ამირიანი, კონსტანდიანი, სურენ ოსეპიანცი, ივანე მალიგინი, ბასინი, სოლნცევი, არმენაკი ბორიანი, ნიკოლაშვილი, მეტაქსა, პავლუხინი, ბერგი, მ. ყორღანოვი, გაბიშევი, მიშნე, ა. ბოგდანოვი, ს. ბოგდანოვი, ვეზიროვი, ბ. ავაკიანი, თათევოს ამირიანი და 1920 წლის 8 სექტემბერს ბაქოს მუშებმა მიწას მიაბარეს წმიდა ნეშთი ბაქოში თავისუფლების მოედანზე, სადაც გაიმართა უკანასკნელი გამოთხოვება მათი თავიანთ მეგობარ ამხანაგ წინამძღოლებთა.

## ბაქოს კომუნარები.

სტეფანე შაუმიანი—რუსეთ. კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, კავკასიის საგანგებო კომისარი, ბაქოს სავნარკომის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი.

ალიოშა ჯაფარიძე—ბაქოს სოვდეპის თავმჯდომარე, სურსათის და შინაგან საქმეთა კომისარი, რუს. კომ. პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

გრიგოლ ყორღანოვი—კავკასიის არმიის რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე, ბაქოს სავნარკომის სამხედრო კომისარი, კავკასიის წითელ არმიის მთავარსარდალი.

პეტროვი—ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი ბაქოში, მოსკოვის რაზმის სარდალი, მემარცხენე ესერი.

არსენა ამირიანი—რ. კ. პ. ბაქოს კომიტეტის ორგანოს: „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქტორი.

ვანო ფიოლეტოვი—ბაქოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, რ. კ. პ. კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

მეშადი აზიზბეკოვი საგუბერნიო კომისარი, კომუნისტი.

პავლე ზევინი—შრომის კომისარი, კომუნისტი.

ვეზიროვი — მიწადმოქმედების კომისარი, მემარცხენე ესერი.

სურენა ოსეპიანი—„ბაქოს საბჭოს უწყებების“ რედაქტორი, კომუნისტი,

ივანე მალიკინი—სამხედრო საბჭოს წევრი, კომუნისტი.

ბასინი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ბ. ავაკიანი—ქ. ბაქოს კომენდანტი, კომუნისტი.

სოლნცევი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

კოსტანდიანი—სურსათის კომისარის ამხანაგი, კომუნისტი.

არმენაკ ბარიანი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ნიკოლაშვილი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

მეტაქსა—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ა. ბაგდანოვი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ს. ბოკლანოვი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

პავლუხინი—საბჭოთა მუშაკი, მატროსი, კომუნისტი,

ბერგი—საბჭოთა მუშაკი, მატროსი, კომუნისტი.

მ. ყოლანოვი—საბჭოთა მუშაკი. კომუნისტი.

გაბიშევი—ბრიგადის კომისარი, კომუნისტი.

თათეოს ამირიანი—საბჭოთა ცხენოსანი რაზმის უმფროსი.

მიშნე—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

## რუსეთის საბჭოთა მთავრობის და საბჭოს მემარცხენე სოციალისტურ პარტიების ორგანიზაციების წარმომადგენელთა დეკლარაცია.

ბაქოს პროლეტარიატი, ჩაყენებული მძიმე პირობებში ბიჩერახოვის ღალატით, რომელმაც გაატიტვლა ფრონტი 30 და 31 ივლისს და აგრეთვე „დაშნაკციუტუნის“ პარტიის მიერაც, რომელმაც არ ინება გაეგზავნა თავისი ნაწილები ფრონტზე, და, მეორე მხრით, შეცდომაში შეყვანილი ისგლისის იმპერიალისტების დაქირავებულების მიერ, რომლებიც მიისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ ბაქო, შევიდა სამხედრო შეთანხმებაში ინგლისელებთან და მუშურ-გლეხური რუსეთის ნების წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალურ საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი იყო, მან მოიწვია ბაქოში ინგლისის ჯარები.

ამ მომენტიდან ბაქოს პროლეტარული სოციალისტური თავდაცვა გადაიქცა ომათ ორ იმპერიალისტურ კოალიციებს შორის.

რევოლიუციონური ფრონტი ბაქოში უკვე აღარ არის, არის მხოლოთ იმპერიალისტური ფრონტი.

იბრძვის ორი ძალა, რომელიც ერთნაირათ მტრულათაა განწყობილი რუსეთის მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობისადმი.

ამ მომენტიდან რუსეთის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლებს და სასხედრო ნაწილებს, რომლებიც გამოგზავნილი იყვენ რუსეთიდან, არ შეუძლიან დარჩენ ბაქოში და ინგლისის იმპერიალისტების დამსწრე გახდენ, მემარჯვენე ესერების, მენშევიკების და დაშნაკელების გავლენის მიერ მომხდარ გამცემლების მონაწილენი შეიქნენ.

მანამ, სანამ ბაქოს პროლეტარიატი შეცდომაშია და ურჩევნია ინგლისელები რუსეთის საბჭოთა ძალებს სანამ ჩვენ არ გვყავს საკმარისი ჯარები, რომ პასუხი გავსცეთ შემოსეულ ოსმალებს, და ახლა კი აგრეთვე გერმანელებსაც, ერთი მხრით, და ინგლისის მტაცებლებს, მეორე მხრით, მათ არ შეუძლიათ დარჩენ ბაქოში.

გულის ტკივილით და წყევა კრულვით, ისინი, რომლებიც მოვიდენ აქ, რომ ებრძოლათ და დახოცილიყვენ ბაქოს მუშებთან ერთად საბჭოთა ძალაუფლებისათვის, იძულებული არიან დასტოვონ ბაქო.

მაგრამ სტოვებენ რა ამ ქალაქს, რომლის დაკარგვას შეიძლება საბედისწერო მნიშვნელობა ექნეს საბჭოთა რუსეთისათვის, ისინი არ კარგავენ იმედს, რომ ბაქოს მუშები და კასპიის ზღვის ფლოტილიის მატროსები შეიგნებენ თუ რა გამცემლობა ჩაადენიეს მათ მემარჯვენე პარტიებმა. ისინი იმედოვნებენ, რომ მუშურ გლეხური რუსეთი ისევ მოვა ბაქოში, და ბაქოს პროლეტარიატი ხელახლა ჩაეკვრება გულში მშობლიურ რევოლიუციონურ რუსეთს და ხელახლა დადგება საბჭოთა სოციალისტურ დროშის ქვეშ.

კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი **სტეფანე შაუმიანი.**

ბაქოს რაიონის სამხედრო კომისარი ცენტრალურ სახკომსაბიდან: **პეტროვი.**

კასპიის ფლოტილიის საზღვაო კომისარი ცენტრალურ სახკომსაბიდან: **პინდიურინი.**

რუსეთის კომუნისტურ პარტიის (ბოლშევიკების) ბაქოს კომიტეტის რწმუნებულობით: ა. **ჯაფარიძე.**

## ყვითელი ატესტატის საღირალი

საქართველოს გულითადი სტუმრები, ევროპიდან გამოძევებულ ყვითელი ინტერნაციონალის წევრები თბილისის შემდეგ პროვინციისკენ მიემგზავრებიან. იქ მათ ახლოს უნდა ჩაიხედონ ჩვენს ცხოვრებაში და ნახონ, რა გაუკეთებია ჩვენს მთავრობას კარგი და რა შეცდომები დაუშვია მას. ნახულ-გაგონილის გათვალისწინებით მათ ატესტატი უნდა მისცენ ჩვენს მთავრობას და ყველამ წინდა წინ იცის, რომ ეს იქნება მოწონების ატესტატი, თუმცა კი ყვითელი ფერისა.

რაც გინდ პატარა იყოს საქართველო მთელ მის ცხოვრების შესწავლას მაინც ვერ მოასწრებენ დელეგატები იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მათ განკარკურლებაშია. ისინი უნდა დასჯერდენ ზოგიერთ, უფრო დამახასიათებელ მოვლენების გაცნობას.

აქ იბადება საკითხი,—რა უფრო ახასიათებს ჩვენი მთავრობის მოქმედებას რომელიც იმავე დროს დელეგატების ყურადღებასაც უნდა იპყრობდეს?

ჩვენი აზრით, სტუმარ მასპინძლისთვის ეს თანასწორად საინტერესო მხარე გახლავთ ბოლშევიზმთან ბრძოლა. ამით იქებდა თავს მთავრობა სტუმრებთან, ამას უწონებდენ მასპინძელს მისი სტუმრები. ბათუმიდან და თბილისის სადგურიდან დაწყებული, დამფუძნებელი კრებით გაგრძელებული. ქუჩის მიტინგებით და საზეიმო სხდომებით გათავებული ყველა ამ მხარეს უსვამდა ხაზს, ყველას აზრი და გრძნობა აქ იყრიდა თავს. რა კი ასეა, განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა რომ ერთი რამ დაეთვალიერებინათ საქართველოს სტუმრებს, რაც ცხადყოფდა ამ ბრძოლის შედეგებს და მის ახლანდელ მდგომარეობას? მთავრობის ნამოქმედარის დასაფასებლათ წინანდალში კი არ უნდა მიდიოდენ სტუმრები, ვინაიდან იქ მთავრობამ თუ გააფუჭა და გააუარესა რამე, თვარა არაფერი შეუქნია,—ისინი ამ მიზნით თბილისის და ქუთაისის და ყველა პროვინციალურ ციხეებს და სატუსაღოებს უნდა სწვეოდენ.

აქ ისინი ნახავდენ ცოცხალ ნიმუშს იმისას, თუ რა წვლილი შეიტანა საქართველოს მთავრობამ იმ საისტორიო ბრძოლაში, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით სწარმოებს და რომელსაც ბოლშევიზმთან ბრძოლა ეწოდება. სტუმრები აქ დიდათ ისიამოვნებდენ იმ სანახაობით, რომ მთელი ქვეყნის საშიშროებათ გადაქცეული ბოლშევიზმის ცოცხალი წარმომადგენელნი სხედან ოთხკედელ შუა გაბაწრულნი, ღონე-მიხდილნი და უვნებელნი, და იმასაც ვერ ღირსებიან, რომ გაიგონ—რათ არიან ისინი ცოცხლათ დამარხულნი და როდემდის უნდა იყვენ ასეთ მდგომარეობაში. მართალია, ეს ვიზიტი არაფრათ სასიამოვნო იქნებოდა ჩვენი ტუსაღი-ამხანაგებისათვის, რადგანაც ვერ წარმოგვიდგენია ისეთი კომუნისტი, რომელიც ამ გამცემთა და მოღალატეთა არამც თუ პირისპირ ნახვით, მათ უბრალო გახსენებაზედაც უდიდესი ზიზღის გრძნობით არ ივსებოდეს. მაგრამ რა ანგარიშგასაწევია კომუნისტების სულიერი განწყობილება, როდესაც საქმე ეხება ყვითელი ატესტატის მიღებას!

დელეგატები კი თითქო განგებ გაურბიან ამ მათთვის უეჭვო სიამოვნებას და მიიმართებიან არა ციხეებისაკენ, არამედ ბაღებისა და წალკოტებისაკენ. მთავრობაც არ ერიდება ხარჯებს, რომ მათ რაც შეიძლება ბევრი ადგილი დაათვალიერონ.

გასაგებია მთავრობის გულუხვობა ამ საქმეში, მაგრამ მარტო ჩვენს მთავრობას ხომ არ მოსდის კარგა საგრძნობი ხარჯები სტუმრების შენახვაზე და მისვლა-მოსვლაზე? ბათუმიდან ევროპამდე და ევროპიდან ბათუმამდე ხომ სხვის ხარჯზე იქნებიან საკმაოთ მრავალ-რიცხოვანი დელეგატები. საკითხავია, ვის ხარჯზე? მეორე ინტერნაციონალი ზნეობრივ კოტრობასთან ერთად უეჭველია მატერიალურ კოტრობასაც განიცდის და დიდი სურვილიც რომ ქონდეს, ამ ხარჯებს ის ვერ იკისრებდა. წარმოვიდგინოთ—უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან ჩვენ არ ვიცით, როგორაა ნამდვილად საქმე—წარმოვიდგინოთ, რომ ამ ხარჯებსაც ჩვენი მთავრობა ისტუმრებს. კიდევ ვიმეორებთ, რომ ესეც გასაგებია, რადგან ჩვენი მთავრობა დიდათ დაინტერესებულია ევროპის დელეგატებიდან საშვილიშვილოთ დაიმტკიცოს საქართველოს სამოთხე. მაგრამ აქ დგება ფრიად საინტერესო კითხვა, თუ თვით ევროპის დელეგატები რას გამოელიან ამ მოგზაურობიდან, რა ეკვივალენტი მიაქვთ თავის ქვეყანაში ნაცვლათ მათ მიერ დატოვებული ღირებულებისა?

გვეტყვიან, ამის სამაგიეროა ის აგიტაცია ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი ასე ბეჯითათ აწარმოებს ყველა ქვეყნებში. ეს ფრიად საპატიო ღირებულებაა და მის გულისთვის კი ღირს გამოეწყოს უფრო მრავალ რიცხოვანი დელეგაცია თუნდაც უფრო პატარა ქვეყანაში „სამოღვაწეოთ.“ მაგრამ ჩვენ ეჭვის პია

«რაც შემეხება მე, მე არ მეკუთნის არც ის დამსახურება, თითქოს მე აღმომეჩინოს კლასების არსებობა თანამედროვე საზოგადოებაში, და არც ის, თითქოს მე აღმომეჩინოს მათი ურთიერთშორის ბრძოლა. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე აღწერეს ამ კლასთა ბრძოლის განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულ ეკონომისტებმა—კლასების ეკონომიური ანატომია. ის, რაც მე მოვიმოქმედე ახალი, მდგომარეობდა შემდეგის დამტკიცებაში: 1) რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ შეხლა-შემოხლებთან (битвы), რომლებიც წარმოების განვითარების თვისებას შეადგენენ, 2) რომ კლასიურ ბრძოლას აუცილებლად მიჰყავს პროლეტარიატის დიქტატურისკენ, 3) რომ ეს დიქტატურა თვით შეადგენს მხოლოდ და გარდასვლას ყოველგვარ კლასების მოსპობაზე უკლასო საზოგადოებაზე»...

კ. მარქსი. წერილი ვეიდემეიერისადმი.

გვლოლნას იმის გამო, რომ დელეგაციაში იმყოფებიან არა მარტო პროფესიით პროპაგანდისტები და აგიტატორები, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ თავისი ხაზეინების დავალებას, მათ შორის იმყოფება მინისტრი და ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი ვანდერველდე. მან თავისი პირით განუცხადა ჟორდანიას,—ბელგიაში რომ მოხვიდე, მართალია მეც მუშათა სახლში მიგიღებ, მაგრამ არა როგორც მუშების წარმომადგენელი, არამედ როგორც მთავრობის წევრიო. ჩვენი ეჭვიც იმაში მდგომარეობს, რომ რანაირათ შეელია ბელგიის ბურჟუაზია და მთავრობა ასეთ პასუხის მგებელ პიროვნებას მარტო აგიტაცია—პროპაგანდის გულისთვის.“

აი ამ ეჭვებით შეპყრობილნი ვათვალიერებთ ჩვენ დელეგაციის მარშრუტს და ბევრი რამ გაუგებარი ცოტათ მაინც გასაგები ხდება. წინანდალი, ბორჯომი, პიათიგორა, საჩხერე—რას ეხარბებიან დელეგატები ამ ადგილებში? რა უნდა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხონ იქ? თუ უნდათ ჩვენი მუშების და გლეხების მუშაობა და ამ მუშაობის პირობები იხილონ, ამისთვის საკმარისია ტფილისის დეპოსი და სახელოსნოების ნახვა. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მათ თვით ღირებულება აინტერესებთ და არა მუშაობის პროცესი. წინანდალში ჩვენ ღვინოები გვაქვს, რომელთაც არ იქნა და ევროპის ბაზრისკენ პირი ვერ უქნინით. ბორჯომშიაც მრავლათ მოგვეპოვება საექსპლოატაციო წყალი თუ ტყე და ესეც საკმაოთ მიმზიდველი უნდა იყოს. მაგრამ ჭიათურა და ტყიბული ვერაფრით ვერ მიიზიდავდენ ჩვენს დელეგატებს თუ არა შავი ქვით და ქვანახშირით. ოო, მინისტრო ვანდერველდე, ბევრ ცოდვას აფიქრებინებ კაცს.

გაზეთებში გამოცხადებულია, რომ დელეგაცია ყაზბეგშიაც წავაო. იქ რაღაო, იკითხავს მკითხველი. თურმე ყაზბეგის გლეხების სურვილია მოაწყონ მიტინგი და მოისმინონ დელეგატების რეჩები უეჭველათ ფრანგულ ენაზე. არ გაგეცინოთ, ალექსანდრე ყაზბეგის ქვეყანაში ამ ორმოცი წლის წინათ მატყლის მყიდველმა უცხოელებმა ალექსანდრე ყაზბეგი იპოვეს ფრანგულის მცოდნე და იმ იმედით წავიდენ, რომ შემდეგში ყველა მეცხვარეები ფრანგულში გაწაფული იქნებოდენ. ალბათ ამ ხნის განმავლობაში თუ ყველა ყაზბეგლები არა, მათი უმრავლესობა მაინც დიდი ინტერესებით მოისმენს ფრანგულ ორატორების სიტყვებს.

ჩვენ კი აქაც ეჭვის ჭია გვღრღნის და გვახსენდება უფრო პროზაიკული რამე ებიც. მატყლს რომ თავი დავანებოთ, აქ ერთ დროს განზრახული იყო ელექტრონის რკინის გზის გაყვანა.

ყველა ამის შემდეგ კიდევ დიდი ეჭვების ქვეშ ვაცხადებთ: ყველა ეს დელეგატები მათი მთავრობის და ბურჟუაზიის წარმოგზავნილი ხომ არ არიან, რომ აქ მათთვის ხელსაყრელათ ბითუმათ და ნაჭრობით შეისყიდონ საქართველოს სიმდიდრე და ამნაირათ გზა გაუხსნან მათი კაპიტალის შეუკავებელ თარეშს ჩვენში, რის შესახებაც ისე გადაკვრით ლაპარაკობდა სახალხო სახლში საეჭვო სოციალისტი და უეჭვო მინისტრი, იგივე ენაწყლიანი ვანდერველდე?!

# აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

## ამხ. რადეკის სიტყვა

### მეორე სხდომა

(დასასრული სექტემბ. იხ. № 48.)

### პროლეტარული რევოლიუცია ევროპაში.

და ის მუშათა მასსები, რომლებიც ყველა ამას ხედავენ, ის მუშათა მასსები, რომელთაც ოთხი წლის განმავლობაში ერეკებოდენ ბრძოლის ველზე და ეუბნებოდენ მათ: ამ ომში თქვენ მოსპობთ გერმანიის კაიზერის და თათრის სულთანის აბსოლიუტიზმსო, თქვენ მიიღებთ უფლებებს, პურს და თავისუფლებასო—აი, ამ ხალხის მასსები ხედავენ ეხლა თავის წინ სიმშილის და სიცივის აჩრდილებს. აი, ეს ხალხის მასსები ემზადებიან ეხლა აჯანყებისათვის და ადგენენ თავის მოთხოვნილებებს. არასდროს, თავის ხანგრძლივ არსებობის ხანაში ინგლისს არ უნახავს ასეთი, გაფიცვების უზარმაზარი ტალღები, მუშების ძლევამოსილი დემონსტრაციები, რომლის მოწამენიც ვართ ჩვენ ეხლა. და არა სხვა ვინმემ, თუ არა ინგლისის პრემიერ—მინისტრ-ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც ყველაზე უფრო ჭკუიანია ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებში, თავის, აპრილში ინგლისის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში აშკარათ აღიარა, რომ ინგლისი სოციალური რევოლიუციის დაწყების საფრთხის წინაშე სდგასო. ეს ინგლისის კომუნისტების დაჟინებითი მტკიცება კი არ არის, რომლების (კომუნისტების) გულს მართლაც —და სწყურიათ ეს რევოლიუცია. ეს ინგლისის პრემიერ მინისტრის გაფრთხილება, რომელიც თავის გაფრთხილებით მოუწოდებს ბურჟუაზიას შეერთდენ მუშების წინაამდეგ. ჩვენ ვხედავთ გაფიცვების ტალღებს, აგრეთვე ამერიკაშიც. იტალიაში, ამ ერთ--ერთ მოკავშირეთა ქვეყანაში, ჩვენ ვხედავთ არა მარტო თანდათან გაძლიერებულ ბრძოლას, არამედ იტალიას ჩვენ ვხედავთ, რომ ის უკვე რევოლიუციის დაწყების წინა დღეებს განიცდის: იტალიის მთავრობას მხოლოდ თავისი ხიშტების ძალით უდგია სული.

იტალიის მთავრობა იძულებულია ყოველ დღე დახვრიტოს თავისი ქალაქების ქუჩებში მუშები. ბატონმა კლემანსომ გერმანიის აბსალიუტიზმის დამარცხების შემდეგ სთქვა, რომ ბალშევიზმი არ არის საშიში საფრანგეთისთვის, რადგან საფრანგეთი ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდაო, ბალშევიზმი კი დამარცხებულ ხალხების ავათმყოფობა არისო. ეხლა ჩვენ ვხედავთ, საფრანგეთის მთავრობამ თუ როგორ აავსო ციხეები საფრანგეთის კომუნისტებით. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხვრეტს საფრანგეთის მთავრობა თავის მეზღვაურებს, რომ სიკვდილის საშინელებით შეაკავოს თავისი ჯარისკაცები, აჯანყება რევოლიუციისაგან. იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმის დასამხობათ ფეხზე დგება ევროპის და ამერიკის პროლეტარები, რომ მის (კაპიტალიზმის) ნანგრევებზე დაამყარონ ძმობის, თავისუფლების და შრომის სამეფო, აი, ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, ამხანაგებო, რომ ინგლისის ცხვირის წინ ირლანდიაში, ჩვენ ვხედავთ ეგვიპტეში და ინდოეთში თუ როგორ თანდათან იზრდებოდა რევოლიუციონური მოძრაობა იმ ხალხებში, რომლებიც დამონებულ-და დამორჩილებული ყავდათ ინგლისელებს.

### აჯანყებები კოლონიებში

ამხანაგებო! ირლანდია დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენს. ინგლისის მთავრობა იძულებულია ირლანდიაში, ირლანდიის ხალხის საწინაამდეგოთ ააშენოს ციხე სიმაგრეები. ირლანდიის ქალაქების ქუჩებში ყოველ დღე კლავენ ათობით ინგლისის პოლიციელებს და საექსპედიციო კორპუსის ჯარის-კაცებს. ეგვიპტეში ქუჩებში გამოდიან არა მარტო გონებრივი მომუშავე პროფესიონალები, არა მარტო სტუდენტები, მოხელეები, არამედ დემონსტრაციებმა გაფიცვებამდი მიიყვანეს ფელახებიც ის ფელახები, რომლებსაც ინგლისელები როგორც კურტნიან ოთხფეხს, ისე ამუშავებდენ და ამით ებრძოდენ გაფიცულ რკინის გზელებს და ფოსტა ტელეგრაფის მუშებს. ინდოეთში ჩვენ ვხედავთ არა მარტო ტერორისტულ ბრძოლას, არა მარტო ინტელიგენტების დაუცხრომელ აგიტაციას, არამედ ჩვენ ვხედავთ, რომ იქ ხდება ისეთი გაფიცვა, სადაც 300 ათასი კაცი ღებულობს მონაწილეობას, ისეთი გაფიცვა სადაც ინდუსი მუშები იღებენ მონაწილეობას, რომლებიც იბრძვიან არა მარტო კაპიტალიზმის მონობისაგან თავისი თავის გასანთავისუფლებლაო, არამედ, ისინი იბრძვიან ინდოეთის ნაციონალურ თავისუფლებისთვისაც. ამხანაგებო! პროფესორ ზიმის წიგნში, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმისათვის ყურანისებური წიგნია, რომელიც გამოცემულია მრავალ წლის წინათ, რომელზედაც იზრდებიან ინგლისის ოფიცრები, როდესაც მათ ინდოეთში გზავნიან და რომელზედაც იზრდებიან აგრეთვე ინგლისის გუბერნატორები, აი ამ წიგნში, ეს დიდად ნასწავლი, ინგლისის იმპერიალიზმის იდეების მქადაგე, არჩევს კითხვებს, როგორ შეუძლია ერთი მუჭა ინგლისელებმა თავის მონობა მორჩილებაში იყოლიონ ასეულ მილიონიანი ინდუსები? და თვითონვე ამბობს, რომ აქ არავითარი სასწაული არ არისო, ინგლისის ბატონობის გასამაგრებლათ ინდოეთში მცხოვრებთა ერთი ნაწილი ებრძვის მეორეს. თუ რომ აჯანყებამ იფეთქა ჩრდილოეთ ინდოეთში, ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვიყვანთ აჯანყებულების წინაამდეგ საბრძოლველათ სამხრეთ ინდოეთის გლეხებს, გადავაქცევთ მათ ჯარის კაცებათ და მათი დახმარებით ჩავაქრობთ ჩრდილოეთის აჯანყებას. თუ რომ დასავლეთის ინდუსები აჯანყდენ, მაშინ ჩვენ მათ წინაამდეგ წავიყვანთ აღმოსავლეთის ინდუსებს და ამგვარათ გამოვიყენებთ ჩვენ ერთი მხრის ინდუსებს მეორე მხრის ინდუსების წინაამდეგ და ამ ხერხით გვყავს ისინი ჩაჭერილი ხელში. შემდეგ განაგრძობს ეს, ინგლისის იმპერიალიზმის იდეების მქადაგებელი და ამბობს, რომ როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ინდოეთში ეუჭველად მოხდება რევოლიუცია, რადგან ინდუსები სიმშილით იხოცებიანო, მე ვუპასუხებ მათ: რომ ეს სრულიადაც არ არის დამარწმუნებელი აზრი. „თუ მათ არ შეუძლიათ ცხოვრება, ისინი ამ შემთხვევაში მოკვდებიან კიდეც“, მაგრამ აქედან არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ იქ უეჭველად რევოლიუცია მოხდება. ინგლისში ყველას აქვს იმის უფლება, რომ სიმშილით მოკვდეს, თუ კი ეს მას უნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ უეჭველად რევოლიუცია იქნებაო.

რევოლიუციისათვის საჭიროა, რომ ხალხი წინ იხედებოდეს, რომ ხალხს განთავისუფლების იმედი ქონდეს, და რომ ის უნდა გრძნობდეს თავის ძალას. ამხანაგებო, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოდის ის დრო, როდესაც აღმოსავლეთის ხალხები დაუმტკიცებენ ინგლისის კაპიტალისტებს, ინგლისის სისხლის-მწოვლებს, რომ მათ არ სურთ სიკვდილი, რომ მათ აქვთ იმედი და თავის ორგანიზმში გრძნობენ აგრეთვე ძალასაც.

ამხანაგებო! ამდენ ხანს ყველა აჯანყებული ხალხები გრძნობდენ თავის სისუსტეს, რადგან ჯერ კიდევ ვერავის ენახა, რომ მუშებს და გლეხებს დაემარცხებიოთ თავისი მყვლეფელები, რადგან ჯერ კიდევ არავის ენახა, რომ აჯანყებულ მუშებს და გლეხებს დაებიჯებიოს თავისი ფეხი ინგლისის ძლევამოსილ იმპერიალიზმის გულზე. მაგრამ, ამხანაგებო, თქვენ ხედავთ, რომ შესაძლებელი ყოფილა ინგლისის იმპერიალიზმის დამარცხება.

### 7—. საბჭოთა რუსეთი იძლევა ამის მაგალითს.

როდესაც აჯანყდენ რუსეთის მუშები და გლეხები, როდესაც მათ ჩამოაგდეს მეფე, როდესაც მათ დაამარცხეს ბურჟუაზიის და მემამულეთა ბატონობა, როდესაც შეადგინეს მუშების და გლეხების მთავრობა, მაშინ მთელი ქვეყნების ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ ის გასრესდა საბჭოთა რუსეთს, რომ ის ისევ დაადებდა რუსეთის მუშებს და გლეხებს მონობის უღელს. მათ შეისყიდეს რუსი ოფიცრები, რუსი კაპიტალისტები. რუსი მემამულენი, გამოუგზავნეს მათ ტანთ-სამოსი, სამხედრო იარაღი, სამხედრო ხელმძღვანელები და დაიწყეს რუსეთის წინაამდეგ შეტევები. თქვენ გახსოვთ, თუ როგორ შეისყიდა ყველა ქვეყნის ბურჟუებმა ჩეხო სლოვაკების 50 ათასი ჯარის კაცი და გამოალაშქრეს საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ. თქვენ გახსოვთ, თუ როგორ გამოალაშქრეს საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ კალედინი, კორნილოვი, კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი. ინგლისის ტანკების დახმარებით, ინგლისის, საწამლავი გაზებით გატენილი ყუმბარების დახმარებით და სხვა ინგლისის მიერ მიწოდებულ სამხედრო იარაღების დახმარებით დენიკინ-კოლჩაკმა შეადგინეს ნახევარ-მილიონიანი არმია და გამოილაშქრეს საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ. კოლჩაკს მხნელის თვალით შესცქეროდა მთელი კაპიტალისტური ევროპა და ყოველივე ძალღონით ეხმარებოდა მას. რუსეთი მოწყვეტილი იყო სხვა ქვეყნებზე, მას არ შეეძლო საზღვარგარეთიდან მიეღო თუნდ ერთი ყუმბარა, მას არ შეეძლო არც მედიკამენტების მიღება, რო საექიმო დახმარება აღმოეჩინა თავისი დასახიჩრებულ შვილებისათვის. მიუხედავათ ამისა, მშიელი რუსეთის მუშები და გლეხები იარაღით ხელში აჯანყდენ, საომარ ფეხზე დადგენ და შეადგინეს ბრწყინვალე და ძლევა მოსილი წითელი არმია. (მქუხარე ტაში)

წითელმა არმიამ დაამარცხა იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი. მე მახსოვს ის დღე, როდესაც გერმანიის ციხეში, ბერლინში მე ამოვიკითხე გაზეთიდან: ხვალ, სამშაბათს, რუსეთის ყოფილ საელჩოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება საზეიმო პარაკლისი გენერალ იუდენიჩის პეტროგრადში შემოსვლის დღის აღსანიშნავად. მაგრამ იუდენიჩი საშინლად დამარცხდა პეტროგრადის ბჭეებთან, დენიკინი დაამარცხეს ქ. ორიოლის კარებთან. მუშათა და გლეხთა არმიამ გარეკა ისინი. ეხლა უკვე აღარ არიან კოლჩაკ იუდენიჩ-დენიკინი. და ეხლა მუშათა და გლეხთა მთავრობა ბრწყინვალეთ ებრძვის ვრანგელის და თეთრ პოლონეთის უკანასკნელ დარჩენილ რაზმებს. ყველა ამით საბჭოთა რუსეთმა დიდი მაგალითი უჩვენა აჯანყებლათ გამზადებულ აღმოსავლეთის ხალხებს.

### 8—. საბჭოთა რუსეთის კავშირი აჯანყებულ აღმოსავლეთთან.

თუ რომ აღმოსავლეთის მუშებს და გლეხებს სურთ განთავისუფლება მჩაგვრელებისაგან, მათ შეუძლიათ მოწინააღმდეგის დამარცხება. რადგან მათი მოწინააღმდეგე უკვე იხრწნება და განიცდის ეკონომიურ კრიზისს და აგრეთვე ის სასტიკათ დაამარცხა წითელმა მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთმა. მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის მუშების და გლეხების შეგნებაზე და ნებაზეა დამოკიდებული მათი გამარჯვება: არავითარი მტერი არ იქნება თქვენთვის საშიში, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს სპარსეთის, ოსმალეთის და ინდოეთის მუშების და გლეხების რევოლიუციონურ ნაკადს, თუ ეს ხალხები შეუერთდებიან საბჭოს რუსეთს. წინათ საბჭოთა რუსეთი გარშემორტყმთლი იყო მტრების მიერ. ეხლა ის თავისუფალია. მას შეუძლია დაამზადოს სამხედრო იარაღები, რომლითაც შეუძლია შეაიარაღოს არა მარტო თავისი მუშები და გლეხები, არამედ ის შეაიარაღებს აგრეთვე ინდუსებს, სპარსეთის და ანატოლიის გლეხებს, ყველა დაჩაგრულებს და წაუძღვება მათ საერთო ბრძოლისათვის და საერთო გამარჯვების მოსაპოებლად. (ტაში). როდესაც კაპიტალისტები მიდიოდენ აღმოსავლეთში საექსპლოატაციოთ, ისინი პირდებიან აღმოსავლეთის ხალხებს თავისუფლებებს და სხვა სიკეთეს. ჩვენთვის გასაგებია ის, რომ მუშების და გლეხების ზოგ ჩამორჩენილ წრეებში უიმედობაა, რადგან მათ განიცადეს და იგემეს ინგლისელების დაპირებების ნაყოფი. ისინი ახლა ეკითხებიან თავის-თავს: არის თუ არა გულწრფელი საბჭოთა რუსეთის მცნებები, შეასრულებს თუ არა ის თავის დაპირებას. ამხანაგებო, ასეთ კითხვებისათვის საპასუხოთ არ კმარა მარტო ის, რომ დააჯერო ისინი, რომ რყევა-ყოყმანში არიან. საჭიროა გონების არგუმენტებით ვუპასუხოთ მათ და ცოცხალი არგუმენტებით დავუმტკიცოთ. საბჭოთა რუსეთი აჯანყდა. მიტომ, რომ ქვეყანაზე აღარ იყვეს მეტათ მონები და ბატონები, რომ აღარ იყვნენ არც მდიდრები და აღარც ღარიბ-ღატაკნი. საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს უზარმაზარ მდიდარ ქვეყანას, რომელსაც თვით შეუძლია თავისი თავის გამოკვება, თუ კი ის თავიდან მოიცილებს, გარეკავს მკბენარებს, პარაზიტებს და ყველა იმ ქვემძრომ მუქთახორებს, რომლებიც სისხლს სწოვდენ რუსეთის მუშებს და გლეხებს. რუსეთს შეუძლია თავისივე ძალებით განავითაროს რუსის ხალხი გონების უმაღლეს წერტილამდის. რუსეთის გლეხს და რუსეთის მუშას არ ეჭირვება სხვის ქვეყნებში ეძებოს პური, რადგან მისივე ქვეყანა ბევრ პურს იძლევა, ძლიერ ნოყიერია. რუსეთის მუშას არ ეჭირვება სხვის ქვეყნებში ლითონის ძებნა, რადგან რუსეთის მიწა თავის გულში ინახავს უთვალავ ლითონს. რუსეთის მუშებს და გლეხებს სწყურიათ თავისი თავის განთავისუფლება, მათ არ სჭირდებათ და არც სურთ სხვა ხალხის დამონება. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კარგათ იციან, რომ ან მათ დაამარცხებენ და ან დამარცხდება მსოფლიო კაპიტალი. ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთ და იმავე დროს დიდხანს არსებობდენ მუშათა და გლეხთა საბჭოთა რუსეთი და კაპიტალისტური ქვეყნები. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა იციან, რომ თუ არ გაანადგურეს ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტები, მაშინ ეს კაპიტალისტები გაანადგურებენ საბჭოთა რუსეთს. რუსეთის მუშას მხოლოდ დროებით უნდა მათთან ზავის შეკვრა, სულის მოსათქმელათ, რომლის დროს სხვა ქვეყნებშიც მძლავრათ გაშლის ფრთებს რევოლიუცია. მაგრ ამ საბოლოვო ზავი, შრომის ქვეყანასა და ექსპლოატატორების ქვეყნებს შორის ყოვლად შეუძლებელია. და ამიტომაც საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა არ არის დიპლომატიური ფანდები, ეს პოლიტიკა არ ნიშნავს იმას, რომ აღმოსავლეთის ხალხები ცეცხლში ჩაყარო, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ გაყიდოს ეს ხალხები, რომ თვით სარგებელი ნახოს აქედან. ჩვენ მსხვერპლათ მივიტანეთ საკუთარი ტერიტორია, საკუთარი გლეხები, საკუთარი მუშები, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკში თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული გერმანიის იმპერიალიზმი გვიკარნახებდა ჩვენ თავის გამომუშავებულ პირობებს, ჩვენ არ შეგვეძლო მაშინ თავის დაცვა.

აღმოსავლეთის მუშებო და გლეხებო, შეიძლება იქნეს ისეთი მომენტები, როდესაც ჩვენ თვით გირჩიოთ, რომ არ შეებათ მტერს და თავი არ გაანადგურებიოთ მას, არამედ ერთი ნაჭერი მიუსცეთ იმ მხეცს, რომელსაც სურს მთლად ჩვენი დაგლეჯა,

ასეთი მომენტები შეიძლება ჩვენც გვექნეს, მაგრამ ჩვენ ერთი ბედით ვართ ერთი მეორესთან შეკავშირებული: ან შეუკავშირდებით ჩვენ აღმოსავლეთის ხალხებს და ამით დავაჩქარებთ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის გამარჯვებას, ან ჩვენ დავიღუპებით და მაშინ თქვენ კი ისევ მონებათ დარჩებით. ამიტომ, ამხანაგებო, აქ საქმე არის, არა ისეთ კავშირში, რომელშიაც შედიან ისეთი ხალხები, რომლებიც ხვალვე დაიშლებიან და ერთი მეორის მტრებათ გახდებიან, არამედ აქ საჭიროა შეთანხმებული შეკავშირებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. აი, ამაზე შევფიცეთ ჩვენ ერთი მეორეს გუშინ. ჩვენ ერთად შეკავშირებული უნდა ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ.

ამხანაგებო, ამ საერთო გამარჯვებისათვის საჭიროა, საერთო მსხვერპლი. რუსეთის მშრომელი მასსები სამი წელიწადია სიმშილობენ, ისინი მოელიან, რომ გაიმარჯვებენ მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

და როდესაც თქვენ ესალმებით წითელ არმიას, როდესაც თქვენ ესალმებით მის გამარჯვებებს, ფიქრობთ თუ არა თქვენ იმაზე, რომ მათი გამარჯვებები და იარაღი გამოჭედილ-განბანილია მილიონ რუსეთის მუშების და გლეხების სისხლით და ოფლით, რომლებმაც თავი შესწირეს ამ გამარჯვებას. უნდა იცოდეთ, რომ მსხვერპლის გაუღებლათ არც თქვენ გხვდებათ წილად გამარჯვება. საჭირო იქნება დიდხანს სიმშილობა და დიდი სისხლის ღვრა. საბჭოთა რუსეთს და თქვენს აჯანყებულ ქვეყნებს უნდა უყუროთ, როგორც ერთ არმიას, რომელიც ერთად გამაგრდება, ერთად აისხამს იარაღს, და საერთო გამარჯვების, საერთო საქმისთვის ერთად მიიტანს მსხვერპლსაც. და ვინც ლაპარაკობს იმას, რომ არსებობს ბალშევიკური იმპერიალიზმი, ვინც ლაპარაკობს იმას, რომ ჩვენ მივდივართ აღმოსავლეთში დაპყრობითი მიზნებით, რომ გამოვაძღოთ ჩვენი წითელი არმია—ის განზრახ სთესავს მუშებსა და გლეხებს შორის ასეთ სიყალბეს, ცილის წამებას, რომ დააშოროს მუშა-გლეხები ერთი მეორეს, რომ ამით ამ ქვეყნის ბრძანებელ ბატონპატრიონებს გაუადვილებს მათი ცალცალკე დამარცხება. ჩვენი მსხვერპლი საერთოა, გაჭირვებაც საერთო გვაქვს და გამარჯვებაც საერთო იქნება. ეს იქნება არა ერთი ხალხის გამარჯვება მეორეზე, არამედ ეს იქნება ყველა ხალხების მშრომელი მასების გამარჯვება იმ ერთი მუჭა მუქთახორებზე, რომლებიც ამდენხანს სჩაგრავდენ მთელს ქვეყნიერობას.

ამხანაგებო! როდესაც ჩვენ მოვიხმობთ, საღვთო ომი გამოუცხადოთ ანტანტას და უპირველესად ყოვლისა კი ინგლისის კაპიტალს, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ დღესვე, რომ ჩვენ მოგვიხდება დიდი ხნის ბრძოლა, სახელდობრ იმიტომ, რომ აღმოსავლეთის ხალხის მასსები გვიან, ნელა ვითარდებიან. წითელი არმიის გამარჯვებების ამბები, ამბები ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის, პროლეტარიატის ბრძოლების შესახებ იძულებული იქნებიან დიდხან იარონ მთა ბარში, ტყე-ველებში და გორაკებზე, ვიდრე ეს ამბები ინდოეთის და ეგვიპტის გლეხამდის მიაღწევდენ მას: აღზდეგ, შემოკრბი, მშრომელო ხალხოო! როდესაც ჩვენ ასეთ ძნელ ბრძოლას ვიწყებთ, ჩვენ ყოველივე ღონეს ვხმარობთ, რომ ამ უზარმაზარმა ქვეყნებმა, ამ ხალხებმა განავითარონ თავიანთი ძალები, გამოიჩინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი, რომ შეთანხმებულათ ვიშრომოთ ახალი, თავისუფალი კაცობრიობის შესაქმნელად, რომელშიაც არ იქნებიან ფერადი, სხვა და სხვა კანიანი ხალხები, არ იქნებიან განსაკუთრებული უფლებით და მოვალეობით აღჭურვილნი, სადაც ყველას ერთნაირი უფლება და მოვალეობა ექნებათ. ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ამბობენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მათ საფრთხე მოელით აღმოსავლეთიდან. ისინი ამბობენ, რომ როდესაც აჯანყდებიან 300 მილიონი ინდუსები, 400 მილიონი ჩინელი გლეხები, აი მაშინ დადგება „კაცობრიობის კულტურის დაღუპვის მომენტი.“ ჩვენ ვნახეთ ეს „კულტურა,“ ჩვენ ვნახეთ ეს „კულტურა“ შრაპნელების ცეცხლში გახვეული, ბრძოლის ველებზე, ჩვენ ვნახეთ ეს „კულტურა.“ სახლების და ქალაქების ნანგრევებში. კაპიტალისტური „კულტურა“ მოასწავებს ყოველგვარ კულტურის სიკვდილს. კაპიტალიზმს არ შეუძლია ჩვენი დაკმაყოფილება თუნდაც იმ დენათ, რამდენათაც დააკმაყოფილებენ ოთხფეხ ცხოველს საჭმელით. რამდენათ მალე დაიღუპება ეს „კულტურა“ იმდენათ უკეთესია ეს. (ტაში) და ჩვენ, ამხანაგებო, როდესაც თქვენ გაბარებთ საერთო ბრძოლის დროშას, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თქვენთან ერთად შევქმნით ასჯერ უკეთეს კულტურას, ვიდრე ეს შექმნეს დასავლეთის მონათმფლობელებმა. აღმოსავლეთმა, რომელიც გამოჭყლეტილია კაპიტალისტებისა და მესაკუთრეთა მიერ, შექმნა მოთმინების ფილოსოფია. ჩვენ მოგაგონებთ, ამხანაგებო, იმ ბრძოლის სურვილებს, რომლებიც ოდესღაც ამხნევებდენ აღმოსავლეთის ხალხებს, როდესაც ეს ხალხები თავისი გენიოს დამპყრობლების ხელმძღვანელობით ომით ილაშქრებდენ ევროპისაკენ. ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი იტყვიან, რომ ჩვენ ვიგონებთ ჩინგის-ხანის დროს, ვიგონებთ დამპყრობელების ხსოვნას, ვიგონებთ ისლამის ხალიფების ხსოვნას. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რომ თქვენ გუშინ ამოიღეთ ხმლები, რევოლვერები არა დაპყრობითი მიზნებისათვის, არა იმიტომ, რომ ევროპა სასაფლაოთ გადააქციოთ, არამედ თქვენ იშიშვლეთ ხმლები და რეოლვერები იმიტომ, რომ მთელი ქვეყნის მუშებთან ერთად შექმნათ ახალი კულტურა—კულტურა თავისუფალ მშრომელისა. და ამიტომაც, როდესაც ევროპის კაპიტალისტები ამბობენ, რომ მოსალოდნელია „ბარბაროსობის“ ახალი ტალღა, მოსალოდნელია გუნნების ახალი შემოსევაო, ამ შემთხვევაში ჩვენ მათ ვეუბნებით: გაუმარჯოს წითელ აღმოსავლეთს, რომელიც კომუნიზმის დროშის ქვეშ ევროპის მუშებთან ერთად ახალ კულტურას ქმნის.

(ამხ. რადეკის სიტყვის დასასრული შემდეგი სხდომების ანგარიშში იქნება).

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესადმი

# განცხადება.

ჩვენ, კომუნისტები, რიცხვით 48 კაცი გიცხადებთ შემდეგს: მალე შესრულდება 3 თვე, რაც ჩვენ დაპატიმრებული ვართ. დღევანდლამდე ჩვენთვის არავითარი დასაბუთებული ბრალდება არ წამოუყენებიათ; და არც შესაძლებელი იყო ასეთი ბრალდების წამოყენება, რადგან ჩვენ ყველა როგორც შეგნებული წევრნი საქ. კომუნისტური პარტიისა ვმუშაობდით მხოლოდ ლეგალურ ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულობის თანახმად.

თვე-ნახევრის წინეთ ჩვენ იძულებული გავხდით გამოგვეცხადებია შიმშილობა, როგორც უკიდურესი პროტესტი ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ ჩვენმა შიმშილობამ გასტანა ოთხ დღე ნახევარი, როცა იძულებული გავხდით გაფიცვა შეგვეწყვიტა პარტიული ცენტრის დირექტივის თანახმად. შიმშილობის შეწყვეტის მეორე დღეს ჩვენთან გამოცხადდა მთავრობის წარმომადგენელი—ბ. გეგელიშვილი, რომელმაც გამოგვიცხადა შემდეგი: „თქვენ საქმეს გავარჩევთ ერთ კვირაში; ნაწილს გავანთავისუფლებთ, ნაწილს გადავასახლებთ და ნაწილს მივსცემთ სასამართლოში“. ამ დაპირების შემდეგ თვე-ნახევარი გავიდა და ჩვენი, დიდი უმეტესობის მდგომარეობა კიდევ გაურკვეველია. მთავრობამ მხოლოდ მცირე ნაწილი გაუშვა საპყრობილედან—გაანთავისუფლა და გადაასახლა. ჩვენ ღრმა რწმენით ვაცხადებთ, რომ ჩვენი საქმე სრულიათ გარკვეულია და ნათელია მთავრობისათვის, მიუხედავათ ამისა ჩვენ არაფერს გვიცხადებენ. ამიტომ ჩვენი მდგომარეობა დღეს ყოველი მხრივ ბევრათ უფრო აუტანელია, ვინემ პირველი შიმშილობის დროს. გამოვდივართ რა ყველა ზემოთ თქმულიდან ჩვენ ვთხოვთ მთავრობის თავმჯდომარეს მოახდინოს სასწრაფო განკარგულება ჩვენი მდგომარეობის გამოსარკვევათ თანახმად მთავრობის დაპირებისა გეგელაშვილის პირით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობისათვის სრულიად საკმარისია დღეიდან (15 სექტ.) ერთი კვირის ვადა გარკვეული პასუხისათვის. თუ ამ ვადაში მთავრობა არ მოგვცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს, ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ პროტესტის იმავე უკიდურეს ფორმას—შიმშილობას აუცილებელ შექმნილ პირობებში. სხვა გამოსავალი ჩვენთვის არ არსებობს. ამ განცხადებას გიგზავნით ტელეგრაფის საშუალებით რომ თქვენგან პასუხი დაჩქარდეს.

ხელს ვაწერთ: 48 კაცი.

# ახალი ამბები

ამხ. რადეკის გადმოცემით--ბაქოში ყოფნის დროს—კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით ითარგმნება და მალე გამოვა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე ბ. თ. ღლონტის წიგნი: «Азiятская политика большевиков».

— საქ. კომ. პარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ ამა წლის 15 სექტემბრიდან დაიწყო წევრების რეგისტრაცია, როგორც ძველების, ისე ახლებისაც, წევრების მიღება იქნება ყოველ დღე სალ. 5-საათ—8 საათამდე, დამოუკიდებლობის ქუჩაზე მელაძის სახლში. რ. კ. პარტიის ზესტაფონის **რაიონულ კომიტეტი.**

— **საჭირო მუშები** შრომის ბირჟაში შეშის დასამზადებლათ საჭირო 300 მუშა. პირობები ხელსაყრელია. მსურველებმა უნდა მიმართონ შრომის ბირჟაში.

— **დავკარგე** პარტიული მანდატი მოცემული და შემოწმებული საქ. კომ. პარ. თბილისის მე-4 რაიონის კომიტეტისაგან, არმენაკ ავედიკოვის სახელზეა და ამიტომ ვაცხადებ გაუქმებულათ.

— შავი ზღვის სანაპიროების განმათავისუფლებელ კომიტეტის წარმომადგენელი ვ. ა. ჩაიკინი იუწყება, რომ ჩამოვიდნენ ამა წლის 5 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიიდან იქაურ ადმინისტრაციის მიერ გადასახლებული შავი ზღვის სანაპიროების განმანთავისუფლებელ კომიტეტის წევრები და თანამშრომლები: სამარინ-ფილიპოვსკი, სოროკინი, შამელიოვი, რიაბოვი, უჩაძე, როძევიჩი, აბაევი, ტუგარინი და ტერ-გრიგორიანი. მათ ეკატერინოდარში განუცხადეს, რომ არაფერ დანაშაულობას არ უყენებენ. ვ. ა. ჩაიკინის ლაპარაკიდან სოროკინთან და რიაბოვთან გამოირკვა, რომ ყველა ხმები და ცნობები, რომლებიც ვრცელდებოდა ადგილობრივ პრესაში შავი ზღვის სანაპიროების მოღვაწეების სიკვდილით დასჯის შესახებ, სინამდვილეს მოკლებულია. ჩაიკინის დატყვევება კი აზრათაც არ მოსვლია არავის. ხელს აწერს ი. გლოტოვი.

— სექტემბრის 9 სხდომაზე მთავრობამ მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საგანგებო კომისიის მიერ გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავებულ ზომების შესახებ დაადგინა:

1) მიენდოს გზათა მიმოსვლის მინისტრს, მოაწყოს ბათომში, სამტრედიაში და ტფილისში სამგზავრო მატარებლების დეზინფექცია. 2) მიენდოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს ყოველდღიურათ გამოუშვას საგანგებო ბიულეტენები სრესაში გამოსაცხადებლად გადამდებ სენთან წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

— **სურსათი მუშებსა და მოსამსახურეებს.** შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ სექტემბრის 20 მოსამსახურეთ დაურიგდებათ შემდეგი სურსათი: ფხვნილი შაქარი სულზე ნახევარი გირვანქა 50 მან. რაფინადი სულზე ნახევარი გირ. გირვანქა 100 მან. მარილი გირ. 8 მ. სულზე 2 გირ. ჩაი გირვანქა 150 მან. სულზე $^{1}/_{8}$ გირვანქა. ბრინჯი გირვანქა 35 მ., სულზე 1 გირვანქა, წუმწუმა კოლოფი 2 მ., 50 კ., სულზე ორი კოლოფი, დასახელებული სანოვაგე როგორც პური იმ წესით დარიგდება.

---

ასლი ამ განცხადებისა რედაქციამ მიიღო 18 სექტემბ., რის გამოც მისი გამოქვეყნება დღემდე არ მოხერხდა.

**რედაქცია.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### ერთა ლიგის საბჭო.

**ლიონი,** 17 სექტემ. მეცხრე სხდომა შესდგება პარიზში, მცირე ლიუქსემბურგის სასახლეში, ლეონ ბურჟუას თავმჯდომარეობით. პოლონეთის და ლიტვის მთავრობებს მიცემული აქვთ წინადადება ამ სხდომაზე დელეგატები გაგზავნონ.

### საჰაერო ფოსტა პარიზსა სტამბოლს შუა.

**ლიონი,** 17 სექტ. სულთანის ირადეთი დამტკიცდა ხელშეკრულობა ერთი მხრით საფრანგეთ-რუმინიისა და მეორე მხრით ოტომანის მთავრობას შორის კონსტანტინოპოლსა და პარიზს შუა ჰაეროპლანებით საფოსტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ. მიმოსვლა დაიწყება მომავალ ივნისიდან.

### ბუხარა—საბჭოთა რესპუბლიკაა.

**ბაქო,** 17 სექტ. ტაშკენტიდან მოსულ ცნობებით, ბუხარაში რევოლიუციონურმა გადატრიალებამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ორივე სატახტო ქალაქები, მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო პუნქტები ბუხარიის და მუსულმანების წითელი ჯარების ხელშია, რომლებიც ბრწყინვალეთ ეზიარენ რევოლიუციურ იდეას. ბუხარის ემირის განადგურებამ ღრმა გავლენა იქონია მშრომელ მასებზე. აღმოჩენილია დოკუმენტალური ცნობები ინგლისის ინტრიგებზე ბუხარის რუსეთთან ომში ჩასათრევათ. ახალ რევოლიუციონურ ბუხარამ საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადა და ბუხარის სამილიონიანმა მშრომელმა მასსამ შესძლო პოლიტიკური გადატრიალება მოეხდინა.

### კიდევ პოლონეთზე და ლიტვაზე

**ლიონი,** 17 სექტემბერი. ლონდონში პოლონეთის დელეგაცია იუწყება, რომ გუშინ დაიწყო ლიტვასთან მოლაპარაკება კალივარში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გუშინ ჰქონდა ადგილი ლიტაველების თავდასხმას პოლონეთის რაზმებზე.

### პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

**ლიონი,** 17 სექტემბერი. პოლონეთის პრესა იუწყება, რომ პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება 14 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო.

### კომუნალური მეურნეობა

**ვლადიკავკავი,** 17 სექტემბერი. თანახმად ახალ დადგენილებისა, ყოფილ კომუნალურ მეურნეობის ქალაქის განყოფილებაში გაძლიერებული ტემპით სწარმოებს განყოფილებების რეორგანიზაცია. 23 სექტემბერს იკრიბება კომუნისტურ მეურნეობის წარმომადგენლების საერთო ყრილობა, ყრილობა განიხილავს საკითხს კომუნისტურ მეურნეობის ადგილობრივათ ახალ საფუძველზე მოწყობის და თერგის ოლქში მეურნეობის გასაუმჯობესებლათ პრაქტიკულ ზომების მიღების შესახებ.

### პოლონეთის კომუნისტურ პარტიის მოწოდება.

**მოსკოვი,** 18 სექტემბერი. პოლონეთის კომუნისტრმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება;

„იმ დროს, როცა ყველა მტაცებელი კაპიტალისტური სახელმწიფოები ყვავებივით თავს დასტრიალებდენ მუშურ რუსეთს რათა ნაკუწ-ნაკუწებათ აქციონ იგი, ჩვენ პოლონეთის კომუნისტები, აუცილებლათ ვრაცხთ ხმა აღვიმაღლოთ და ვუთხრათ ევროპის პროლეტარიატს, რომ პოლონეთის მუშებს რუსეთზე პოლონეთის მილიტარიზმის თავდასხმაში არაფერი საერთო აქვს და იმ თავდასხმას ჩვენ სასტიკათ ვკიცხავთ.

ევროპის და ამერიკის მუშებო! პროტესტი გაუცხადეთ თქვენი მთავრობების მოქმედებათა წინააღმდეგ. მოითხოვეთ ფულით და იარაღით პოლონეთის კონტრევოლიუციის დახმარების შეწყვეტა. ბოიკოტი გაუცხადეთ პოლონეთის მთავრობისადმი ყოველგვარ დახმარებას და არ გაუშვათ არც ერთი ტრანსპორტი სამხედრო მასალებით.

პოლონეთის მუშები მზათ არიან საბჭოთა რუსეთისათვის სისხლი დაღვარონ.

დასავლეთის მუშებო! წაართვით პოლონეთის მთავრობას დასავლეთ სახელმწიფოების სამხედრო დახმარება და მაშინ მას სრულ განადგურებისაგან ვერაფერი იხსნის.

დასავლეთის პროლეტარებო! იბრძოლეთ ჩვენთან ერთათ გასისხლიანებულ პოლონეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დაეხმარეთ საბჭოთა რუსეთს.

და ყოველი თქვენი აზრი: ყოველი თქვენი მოქმედება იქნეს სიმართული იქეთკენ, რომ საბჭოთა რუსეთი მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის შეთქმულებისან დაიცვათ“.

### საფრანგეთის მთავრობის ახალი შანტაჟი.

**მოსკოვი,** 18 სექტემბერი. საფრანგეთთან სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ „იზვესტია“ სწერს:

„რუსეთის და საფრანგეთის მთავრობებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ. რუსეთი მზათაა მისი კეთილ სინდისიერებისამებრ თავისი ქვეყანაში მყოფი ყველა საფრანგეთის ტყვეები გაუშვას, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ყოველნაირ მხეცურ ზნეობრივ და ფიზიკურ დევნას ჩვენს ტანჯულ თანამემამულეების მიმართ არ იშლის.

ახლა, უნდათ რა დაიბრუნონ თავისი ფრანგი ტყვეები, თავის უკანასკნელ თავხედ ნოტაში მილიერანი აცხადებს, თუ 1 ოქტომბერს არ იქნებიან გაგზავნილი რუსეთიდან საფრანგეთში ყველა ფრანგი სამხერრო ტყვეები, მაშინ ისინი სამხედრო მოქმედებას დაიწყებს და ჩვენ პორტებს სროლას დაუწყებენ. ამნაირათ მილიერანს სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ გამოწვეული უბრალო გაუგებრობით უნდა ისარგებლოს და ჩვენს წინააღმდეგ დიდი ხნით განზრახული ომი დაიწყოს.

მთელი ქვეყნის ხალხთა საზოგადო აზრის წინაშე საფრანგეთის მთავრობის ამ ჯერ გაუგონარ შანტაჟის წინააღმდეგ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ, ჩვენ მივმართავთ საფრანგეთის მოძმე პროლეტარიატს, ჩვენ მოვითხოვთ რუსეთის სამხედრო ტყვეებზე ახალი ძალდატანება არ იქნეს დაშვებული, ვინაიდან ისინი (ტყვეები) ჩვენ საფრანგეთის მუშების მზრუნველობის ქვეშ გვეგულება.

### „პარტიის გამაგრების კვირა“.

**მოსკოვი,** 18 სექტემბერი. „პარტიის გამაგრების კვირის“ შემოღების გამო „პრავდა“ სწერს: „პარტიისა და მისი დისციპლინას გამაგრების კვირა დაიწყო, ამისთვის ფეხზე დგანან ყველა პარტიული ძალები. ეს მუშაობა დიდი ენერგიით უნდა ვაწარმოვოთ. ჩვენ უნდა გავასპეტაკოთ პარტია, გავამაგროთ მისი რიგები და უფრო ავამაღლოთ მისი ამაყი წითელი დროშა“.

### ტერორისტები ამერიკაში.

**ლიონი,** 18 სექტემბერი. ნიუ-იორკში ბომბის აფეთქებით დაინგრა მორგანის ბანკის ნაწილი. 50 კაცი მოკვდა, 200 დაიჭრა. ბრალს დებენ ანარქისტებს.

### სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.

**ბაქო,** 17 სექტ. გაგზავნილია განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი სავაჭრო ეკონომიური კავშირის აღსადგენათ აზერბაიჯანსა და თურქესტან-ბუხარას შორის.

### რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბეჭდვითი ბიურო საქართველოში,

იტყობინება, საქართველოს დეპეშათა სააგენტო თავის ბიულეტენებში განაგრძობს მოსკოვის ცნობების გამოქვეყნებას შემდეგი სათაურით: „რუსული *) დეპეშათა სააგენტო“, თუმცა ბეჭდვითი ბიურომ უკვე განაცხადა, რომ ყველა რადიო-ცნობები მოსკოვიდან მოდის, „რუსეთის დეპეშათა სააგენტოდან (როსტა“. დასავლეთ ევროპაშიც არის ვრანგელის „რუსეთის დეპეშათა სააგენტო „რუსაგენ“, მაგრამ მას მოსკოვიდან ცნობების მოწოდება, რასაკვირველია, არ შეუძლია.

### ტრანსპორტი.

**მოსკოვი,** 13 სექტემბერი. მოწყობილია პირდაპირი მიმოსვლა პეტროგრად—ომსკი, პეტროგრად—კოსტრომა, პეტროგრად—ვიაზმა.

---

*) ასე, რუსულად „Русское телег. агент.“ იწერება მხოლოდ ადგილ. რუსულ გაზეთებში, მაშინ როდესად ქართულ გაზეთებში—რუსეთის დეპეშათა სააგენტო სრულიად გამოხატავს რუსულს—„российское“.

**რედაქცია.**

### დახმარება გლეხებს.

**მოსკოვი,** სექტემბერი. ზოგიერთ გუბერნიებში მოუსავლობამ სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან ამ გუბერნიის გლეხების დასახმარებლათ გამოიწვია მთელი რიგი ზომებისა. სურსათის საზოგადო დანაწილების მმართველობას დამშეულ გლეხების დახმარების გასაწევათ პროექტის შედგენა დაევალა; უნდა გახსნან საზოგადო სასადილოები, ბავშთა თავშესაფარები და სხვა.

### წითელი გმირები.

**მოსკოვი,** 15 სექტემბერი. წითელ არმიის მიერ მდ. ნემანის გადასვლისას, სამმა ადგილობრივმა გლეხებმა ჩვენს ჯარებს არსებითი დახმარება გაუწია. ერთმა მათგანმა არტელეერის ცეცხლის ქვეშ გადაგვირჩინა ტყვიის-მფრქვეველი და უჩვენა ჩვენებს მდინარეში გადასასვლელი ფონი. იგი შეიპყრეს პოლონელებმა და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ ვერ მოასწრეს განაჩენის სისრულეში მოყვანა: მდინარეზე გადასულმა წითელმა არმიელებმა მიუსწრეს და გააქციეს პოლონელები და გლეხები სიკვდილს გადარჩა. ორმა მათგანმა თავისი საგმირო მაგალითით წითელი არმიელები შეტევაზე წააქეზა,-წაახალისა.

სამთავე გლეხს ჯილდო მიუსაჯეს.

### საბჭოთა აღმშენებლობა

**მოსკოვი,** 16 სექტ. კომუნების ყანის მოსავალი გლეხების ყანების მოსავალს დიდათ აღემატება. დანკოვის მაზრაში, მაგალითად, საბჭოთა მიწებზე ერთ დესეტინაზე 55 ფუთი ჭვავი მოვიდა, ხოლო გლეხების მიწებზე კი 25 ფუთი. შვრიის და კარტოფილის მოსავალი კომუნების მიწებზე კიდევ ორჯერ მეტია, ვიდრე გლეხების მიწებზე.

### წითელ არმიელებზე ზრუნვა

**მოსკოვი,** 20 სექტ. დონის საბჭომ ათ მილიონზე მეტი მანეთი პენსიები და დახმარებები მისცა წითელ არმიელების ოჯახებს კონტრრევოლიუციისაგან, დაზარალებულების სასარგებლოთ, 1 ნახევ. მილიონი მანეთი ინვალიდებისთვის გახსნილია ხუთი სახელოსნო და 6 საზოგადო თავშესაფარი.

### პოლონეთის საზავო წინადადებები.

**პეტროგრადი,** 14 სექტემბერი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოთქვა დაუყონებლივ მხრის დაჭერის სურვილი რუსეთთან ზავის შემდეგ პირობებით:

1) კეთილმეზობლური განწყობილების დამყარება, 2) ეტნოგრაფიული საზღვრების დამყარება, 3) ყველა ერებს, რომლებიც რუსეთსა და პოლონეთის შუა მოსახლეობენ, მიეცეთ თვითგამორკვევის უფლება, 4) რუსეთ ლიტვის საზავო მოლაპარაკების ხელმეორეთ გადასინჯვა, ხოლო საკითხი ქალაქებზე—გროდნოზე და ვილნოზე უნდა გადაწყდეს პოლოენთ ლიტვის მოლაპარაკებით.

# უკანასკნელი ცნობები

19 სექტემბერი.

### სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.

### პოლონეთის ფრონტი

გროდნოს რაიონში შეტევაზე გადმოსულ მტერთან გრძელდება სასტიკი ბრძოლები

კობრინის რაიონში გრძელდება ცვალებადი ხასიათის სასტიკი ბრძოლები ჩვენ ხელში ჩავიგდეთ პულემიოტები.

დუბნოს რაიონში შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგესთან ჩვენი ნაწილები აწარმოებენ ბრძოლას დუბნოს ჩრდილო აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ბროდის და ტარნოპოლის რაიონებში ჩვენი ჯარები ბრძოლით ახალ პოზიციებზე იხევენ.

### ყირიმის რაიონში.

ორეხოვის რაიონში მოწინააღმდეგის ცხენოსან ჯართან ბრძოლა გრძელდება.

### აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

**მოსკოვი,** 20 სექტემბერი. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შემდეგ ბაქოში მოაწყვეს გრანდიოზული დღეობა. პროცესიაში ათი ათასობით კაცი ღებულობდა მონაწილეობას. ზეიმით მივიდენ კარლ მარქსის ძეგლთან. აქ, მიტინგზე ნარიმანოვმა ვრცელ სიტყვაში მოუწოდა ყველას საზღვარ გარეთულ და შინაურ—სულთნების უღლის დასამსხვრევათ.

### შრომის მილიტარიზაცია.

ბაქო, 17 სექტემბერი. ვინაიდან ხშირად ხდება მომუშავეების ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლა, რაც ძლიერ აფერხებს საქმის საერთო მსვლელობას, საბჭოთა მოსამსახურეებ. კავშირი იმუშავებს შრომის მილიტარიზაციის პროექტს.

### პროფესიონალურ კავშირების აღმოსავლეთის საბჭო.

ბაქო, 17 სექტემბერი. თანახმათ ადერბეიჯანის პროფესიონალურ კავშირების პირველი ყრილობის დადგენილებისა, ბაქოში ეწყობა აღმოსავლეთის პროფესიონალურ კავშირების დროებითი საბჭო.

## აკაკი ოქიგავას ხსოვნას.

ამხ. აკაკი იყო ერთი იმ პირთაგანი რომლებიც თავის თავს ანაცვლებდენ ბედშავი ხალხის, მუშათა ხალხის დიად მომავალს. პროფესიით მასწავლებელი, ჩამომავლობით სოფლელი გლეხის შვილი და შემდეგ ჯარის კაცი, რომელმაც შემოიარა ყველა რუსეთის ფრონტები, იდუმალათ სადაც ეს საჭირო იყო, მედგრათ—სადაც მას გარემოება მოითხოვდა ის განუწყვეტლივ თვალიდან არ იშორებდა იმ ნეტარ ხანის მოახლოვებას, როდესაც წყვდიადზე რევოლიუციის შარვანდედი თვის იერიშს მიიტანდა და გასპეტაკებული წითელი დროშა გლეხის ქოხსაც მიაშუქებდა თავის ცხოველ მყოფელ სხივებს.

არც ერთ წამს მის გონებას არ მოჰშორებია თვალიდან ის თავისი მოწოდება, რომ მას თავის თავი მოყვართათვის უნდა დაედო. და იმ ხანათ, როდესაც მუშები თვით მოიწადინებდენ თავისი ბედის გამოჭედას, მას პირველათ უნდა დაებერვა საბერველისათვის და ხელში მომარჯვებული ჩაქუჩი მაგრათ დაეცა ბედის გამომჭედ გრდემლზე.

1918 წელს თებერვლის და შემდეგშიაც სამეგრელოს და ლეჩხუმის გლეხთა გამოსვლებში ამხ. აკაკი იყო იმ ბელადთაგანი, რომელიც ხელმძღვანელობდა გაჩაღებულ ბრძოლას. მისი მედგარი ყიჟინა, გამამხნევებელი სიტყვა, მომავალით გაკაჟებული ენერგიის გამოხატულება და სოციალისტური შეგნება არასოდეს არ შეფერხებულა არავითარ გაჭირვების დროს.

არ შედრკა მედგარი მებრძოლი მაშინაც კი, როდესაც მას სენაკის ციხეში ყოფნის დროს ატყობინებენ, რომ იგი და მისი ამხანაგი ხვალ დილით უნდა დახვრიტონ და რომ მან თვით უნდა გაითხაროს თვისი საფლავი.

აკაკი უნდა დახვრეტილიყო! ამას ვერ იტანდა ხალხის მართლმსაჯულება და ის მედგარ ტალღით მიაწყდა ერობის კარებს, რათა მას შეეჩერებინა ისინი, ვინც წყვეტავდა მათი ბელადის სიცოცხლის საკითხს.

ძალამ გასჭრა... აკაკი ჩემთან ერთად გადმოიყვანეს ქუთაისის ციხეში, სადაც ჩვენ ყოველ ღამე მოველოდით დასახვრეტათ გაყვანას, მაგრამ ეს აღარ მოხდა.

ხანგრძლივ ციხეში ყოფნით დასუსტებულს ამხ. აკაკის ეწვია მოუნელებელი ავათმყოფობა—სახადი. ამ ავათმყოფობამ შეიწირა მისი სიცოცხლე 1919 წ. 3 ივნისში და მისი სიცოცხლით სავსე თვალები სასიკვდილოთ დაიხუჭა.

ამხანაგო აკაკი! შენი რწმენა ხორციელდება, ძლევა-მოსილი, მრისხანე ტალღები მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა ეხეთქება კონტრ რევოლიუციის სიმაგრეებს, და ძირს უთხრის მათ. პროლეტარიატი საყვირით მოუწოდებს მებრძოლთ მსოფლიო მჩაგვრელთა შესამუსრავად, მის რაზმებში შენ ველარ დგახარ შენ ამხანაგებთან ერთად; მაგრამ ჩვენ ხალხის მშობლიურ გულში ჩაკრულ სიყვარულთან ერთად შენი სახე ყოველთვის თან გვექნება.

განისვენე მეგობარო, შენ საფლავზე ამოსულ მცენარეს მუდმივ მორწყავს ბედკრული ხალხის ცრემლები. შენი სანდროს სიყვარული კი შენსკენ ჰქრის და მაშინ, როდესაც გოლგოთის წამების ჯვრის ნაცვლად წითელს დროშას დავსვამთ, შენი სახელი პირველად ჩემს ბაგეთ წამოსცდება: „აკაკი ამას ნატრულობდა“!

**სანდრო ქაჯაია.**

ქუთაისის საგუბერნიო ციხე.

### ლანჩხუთელ ამხ. ამხ. ილარიონ ხარჯველაშის და კერესელიძის ხსოვნას

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ გამოგვესალმეთ საუკუნოთ! თქვენ შეეწირეთ რევოლიუციის დიად საქმეს! მაგრამ, თქვენ ისევ ცოცხლები ხართ! და თქვენი რევოლიუციონური გულის გამგმირავი „გმირები“ კი მკვდრები.

ჩვენ დარჩენილი ამხანაგები ფიცსა ვსდებთ, არ დავივიწყებთ თქვენს ხსოვნას, და თქვენებრ ვიბრძოლებთ საბოლოვო გამარჯვებამდის.

და როცა გამარჯვებული მოვალთ წითელი დროშით თქვენს სასაფლაოზე, მაშინ, დარწმუნებული ვართ, თქვენი ძვლები ამოგვძახებს: გაუმარჯოს მუშათა სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას! გაუმარჯოს კომუნიზმსო!

**გურიევი.**

## სახალხო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში

### რუსეთის ელექტროფიკაცია.

(დასასრული იხ. „ახ. კომ.“ № 46).

პირუტყვთა რაოდენობის ზრდა კი ციმბირში ბუნებრივია და აიხსნება მით, რომ იქ ბევრია საუკეთესო საბალახოები. სასოფლო მეურნეობის მანქანებიდან ციმბირელ გლეხს შეუყვარდა ყველაზე უფრო თივის საცელავები და საერთოდ ისეთი მანქანები, რომლებიც უადვილებს მას ჰირნახულის შენახვას. შინა-მრეწველურ—ექსტენსიური მდგომარეობა სოფლის მეურნეობისა ჯერ კიდევ დიდი ხნით იქნებოდა, ჩვენდა სამწუხარო, თავსამტრევ საკითხად, გაალვივებდა რა მტაცებლობის უსაზღვრო სურვილებს კოლონიალური პერსპექტივებით, რომ პროლეტარიატისა და გლეხკაცობის შეერთებულ ძალის გამარჯვებას არ შეეკვეცა მათთვის ფრთა და ცხოვრებაში გასატარებლათ არ წარმოეშვა ახალი კომბინაციები ქალაქისა და სოფლის შეერთებული ძალებით, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის საშვალებით. და ჩვენ რომ რაც შეიძლება მეტი სისწორით გაგვენაწილებია მიწა მჭამელთა მიხედვით და არ დაგვეშვა შეცთომა განაწილებაში ე. ი. 0,1 დესიატინის უმეტესი, და ამისათვის არ მოვრიდებოდით მილიარდობით ხარჯებს, გამოგვეყენებია ამისათვის ათასობით მიწის ზომელთა და ტეხნიკოსთა ცოდნა-გამოცდილება, ამით ჩვენ მაინც არ გვექნებოდა საჭირო ნაბიჯი გადადგმული სოფლის მეურნეობის საწარმოვო ძალთა ნამდვილი აღორძინებისათვის. მაგრამ ახალი ცხოვრებისათვის გამოფხიზლებული გლეხობა თვითონ მოინდომებს და ხელს შეუწყობს პირველ ყოფილი პატრიარქალური საშვალებებით მიწის მოხვნა-მოშენების ძირიან-ფესვიანათ მოსპობას და მის ნაცვლათ დაამყარებს კულტურისა და ტეხნიკის უმაღლეს მეთოდებს—სოფლის მეურნეობის უმაღლეს ფორმებს.

მაგრამ ვიკითხოთ, თუ რა ახალი ფორმები წარმოებისა შეუძლია მეცნიერულ აგრონომიას ადამიანის უძლურება-უღონობასთან ერთად უკვე არსებულ ცენტრალისტურ კოლოსალურ წარმოებას, რასაც ჩვენ დღეს სინამდვილეში ვხედავთ, დაუპირდაპიროს?

ახლო მომავალში დაიბეჭდება და გამოვა შემოკლებული შინაარსით საელექტროფიკაციო კომისიის წიგნი, სადაც სხვათა შორის დაწვრილებით დამუშავებულია საკითხი მთელი სასოფლო მეურნეობის რეორგანიზაციისა გერმანიაში. ავტორი ამ წიგნისა გვიჩვენებს, რომ მექანიკური და ელექტრონული ენერგიის ფართოდ გამოყენების საშვალებით შესაძლებელია თექვსმეტი მუდმივი მუშებით დამუშავდეს 500 დესიატინა მიწა; 3.4 მილიონიან წესიერათ მოწყობილ სასოფლო მეურნეობის შრომის არმიას კი შეუძლია გამოკვებოს მთელი გერმანია თავისი სამოცდაათ მალიონიანი მცხოვრებლებით.

მაშასადამე, სასოფლო მეურნეობის წარმოებაში ფაბრიკები და ქარხნები ფანტაზია კი არაა, არამედ დასაბუთებული სინამდვილეა. გონიერი მოწესრიგება ასეთი სასოფლო მეურნეობის ფაბრიკებისა აგრარულ ცხოვრების პრაქტიკაში, მათი შეგუება რუსეთის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ საჭიროებასთან, რუსეთის სინამდვილის გარდამავალი ხანის საჭიროებასთან, მრავალგვარი მოსამზადებელი საშუალებები და ინდუსტრიის შესაფერისი შეფარდება—რაოდენი სამოღვაწეო ასპარეზია ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

მეცნიერულ ანალიზს მიწის დამუშავების დაკნინებისა მივყევართ ჩვენ იქამდის, რომ საუკეთესო რადიკალური საშვალება სოფლის მეურნეობაში შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან დაჩქარებით თავის დახწევისა მეხანიკური ენერგიის გამოყენებაა მიწის დამუშავებაში.

ელექტროფიკაცია მხოლოთ ერთი მეთოდთაგანია ასეთი ფართე მექანიზაციის. და ამ მხრით მიმართულია მეოცე საუკუნის ტეხნიკურ განვითარების მთელი ცოცხალი ძალები ელექტროფიკაციის პრაქტიკაში გატარების დროს ჩვენ ყველაზე ნაკლები დაბრკოლებები გადაგვეღობება წინ, როგორც ტეხნიკურ-ეკონომიურ მოსაზრებებით, ისე სოციალური ურთიერთობის მხრით. მაგრამ ეს—უკვე სპეციალური სამუშაო თემაა. ამხ. უსპენსკის მოსაზრებები კი საინტერესოა, როგორც პრინციპიალური გაშუქება-გარკვევა აგრარული საკითხის მთელი სიმძიმისა, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა რუსეთის წინაშე ისტორიული სიტუაციის თავისებურობით. და არ შეიძლება არ შევუერთდეთ იმ მხურვალე მოწოდებას, რომლითაც ამხ. უსპენსკი ათავებს თავის მოხსენებას:

მოქალაქენო რუსეთის ფედერაციისა! ფართეთ გაუღეთ კარები თქვენი უმდიდრესი მიწების თავისუფალ დასახლებას ყველა ქვეყნების მშრომლების მიერ და მათთან შეთანხმებული საერთო მუშაობით გასწიეთ წინ სასოფლო მეურნეობის წარმოების ამოცანების გარკვევა—გადაწყვეტისაკენ მეცნიერულ-პრაქტიკული გზით,—და ჩვენი ფედერაცია შეიქნება პირველი უზარმაზარი ბეღელი მიწის ნაყოფისა, სადაც კაცობრიობა უტანჯველი შრომით მოიპოვებს საარსებო პურს და დამყარდება სამოთხე თავისუფალი შემოქმედებისათვის.

## პარტიული ცხოვრება.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

პარასკევს 10 სექტემბერს შესდგა მე-4 რაიონის მეათე იაჩეიკის კრება. დღიური წესრიგი ასეთი იყო: 1) მოხსენება თ. კ. 2) პრესა 3) სომხეთში მომხდარი ამბები 4) პროტესტი ახალგაზრდა კომუნისტურ ყრილობის დაშლის გამო.

1. მე-10 იაჩეიკამ მოისმინა რა მოხსენება თბილისის კომიტეტისა სცნო თბილისის კომიტეტის დადგენილება დროს შესაფერად.

2. იაჩეიკამ იქონია მსჯელობა პრესის შესახებ და დაადგინა რომ აღმოუჩინოს პრესას დახმარება, როგორც ფონდის გაძლიერებით აგრეთვე გაზეთის გავრცელებითაც და ცნობების მიწოდებით.

3. იაჩეიკამ იქონია მსჯელობა სომხეთის კონტრ-რევოლიუციონურ დაშნაკთა მთავრობის საზიზღრობაზე რომელმაც ვერაგულათ გამოასალმა სიცოცხლეს მშრომელ ხალხთა ინტერესების დამცველი ჩვენი ამხანაგები. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ, ზიზღს ვუთვლით და შურის ძიებით ვუცქერთ ყოველ ამგვარ საძაგლობას. და ფიცს ვდებთ რომ ჩვენს გულში წაუშლელი დარჩება ჯალათთა მოპყრობა ჩვენი ამხანაგებისადმი.

კრებამ მოისმინა ახალგაზრდა კომუნისტურ ყრილობის დაშლა და გამოიტანა ენერგიული პროტესტი საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობის გარეკის წინაალმდეგ.

— —

კვირას, 12 სექტემბერს 1920 წ. შესდგა მე-4 რაიონის 18 იაჩეიკის კრება.

დღიური წესრიგი: ევროპის „სოციალისტების“ დელეგაცია.

მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ვ. მეორე და მესამე ინტერნაციონალზე.

კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. ვ. და განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები, სახელდობრ კაუცკი, ვანდერველდე და სხვ. მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი მოღალატეები მუშათა კლასის, რომ მეორე ინტერნაციონალი დღევანდელ მომენტში წარმოადგენს მუშათა ინტერესების მოწინააღმდეგეს, მეორე ინტერნაციონალის ბელადებს ბავარიის, ჰუნგრეთის და რუსეთის მუშების სისხლში აქვთ გასვრილი ხელები.

ძირს მეორე ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს მესამე კომმუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

— —

### ს ა ლ ა მ ი.

**ქუთაისის** ფოსტა-ტელეგრაფის კომუნისტური იაჩეიკა აღფრთოვანებით მიესალმება ბრწყინვალე დღესასწაულს, აღმოსავლეთის ხალხთა დიდებულ, საისტორიო კრებას. გვახარებს ათასი წლობით ჩაგვრა—მონობაში მყოფი აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მკვდრეთით აღდგომა.

დეე, თქვენი ხმა სჭექდეს და მთელ მსოფლიოს კუთხეებს ესმოდეს, რომ აღაფრთოვანონ ჩვენი მოძმეები და სასიკვდილო ლახვარივით მოხვდეს ყაჩაღურათ განწყობილ მტარვალ-უსამართლოებს.

ჩვენ გვწამს, რომ მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, რომელიც საფუძველის ჩამყრელია პროლეტარიატის მჭიდრო სოლიდარულათ შეკავშირებისა, აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა მჭექარე ხმით შესძახებს კაპიტალის მეუფეებს და კაცობრიობის უკულმართობამდის მიმყვან მძარცველ ჯალათებს: „აწ შეჩერდით! გეყოთ ჩვენი ჯიჯგნა. მონობის მძიმე უღელი იმსხვრევა და კვლავ გაიჭედება მხოლოთ თქვენი მტარვალურ მოქმედების შესაზღუდავათ. შფოთავდეთ ჩვენებრ განწყობილ პროლეტარიატის რისხვის წინაშე მსოფლიოში“.

გაუმმარჯოს სოციალიზმს, რომელიც სიმბოლოა ტანჯული ხალხის განთავისუფლებისა!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობას და მჭიდრო შეკავშირებას!

იაჩეიკის მონდ. **მიშელ არდანი.**

## პროვინციის ცხოვრება.

### ხცისის საზოგადოება (გორის მაზ.)

ამ საზოგადოებაში, იშვიათია ისეთი სოფელი, რომ პატარა ღელეები არ ჩამოდიოდეს, და იშვიათია ისეთი სოფლის გლეხები, რომლებსაც პატარა მდინარეებზედ წისქვილი არ უბრუნავდეს, რომლითაც შეიძლება პატრონმა თავისთვის დაიფქვას მხოლოთ ცოტ-ცოტათი სიმინდი.

ეს წისქვილები მუშაობენ მხოლოთ წყალდიდობაზე, ორი თვე შემოდგომაზე, ორიც გაზაფხულზე, ხოლო როდესაც ყინვები იწყება ან გვალვები, არამცთუ სხვას დაუფქვან რამე, არამედ თვით ამ წისქვილების პატრონებიც სხვაგან ფქვავენ.

აქედან ცხადზედ უცხადესია, თუ რა შემოსავალი უნდა ქონდეს, ასეთ წისქვილის პატრონს, რომელიც თავის წვრილ-ცოლშვილისთვისაც ვერ ფქვავს ნაღერლს.

მიუხედავათ ყველა ამისა, მოდის ხაშურის სათემო ერობის რწმუნებული და ელაპარაკება გლეხებს: აი თქვენი გვარი და სახელები, მე მევალება ერობის დადგენილების ძალით თითოეულ წისქვილის პატრონს ორ-ორი ფუთი პური გამოვართვათო.

როდესაც გლეხები უხსნიან: ჰა, ბატონო, ნახეთ ჩვენი წისქვილები უწყლობის გამო გაჩერებული არიანო, მაშინ ის ისტუმრებს ხაშურის ერობისკენ და ეუბნება: წადით და ერობამ გაგანთავისუფლოთო.

როდესაც მიმართამენ ერობას, ერობის თავმჯდომარე ბ. ჭედლიშვილი გლეხების თხოვნაზე: მობრძანდი, ბატონო, ინახულეთ ჩვენი წისქვილები და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ეს წისქვილი ორი ფუთის დაფქვას ორი კვირა უნდებაო, ბ. ჭედლიშვილი ფეხების ბრახუნით და დაპატიმრების მუქარით ისტუმრებს მთხოვნელებს.

საჭირო იქნებოდა მთავრობას ყურადღება მიექცია ამ ზოგიერთ ვაჟბატონ[ე]ნების საქციელისთვის, და თუ ასეთი გ[ა]დასახადი (ამისთანა წისქვილებზე) მთა[ვ]რობის მიერ არის დაკანონებული, მაშ[ინ] მე ვგონებ ფეხების ბრახუნის ნაცვლა[დ] უნდა აუხსნას გლეხებს, და ისინიც გ[ა]გებენ მთავრობის მიერ გამოცემულ [illegible] კანონს.

წელს პურის მოსავალი მოლოდინზ[ე] მცირე მოვიდა ხანგრძლივი გვალვებ[ის] გამო. სიმინდი და ქერი სულ თუ არ[ა] ნახევრად მაინც წაახდინა აღმოსავლეთი[ს] ხანგრძლივმა ქარმა და გვალვამ. მოსა[ლ]ოდნელია წელს ამ საზოგადოებაში სი[მ]შილობა.

მიუხედავათ ამისა, რაც კი მოგრო[ვ]და ან უნდა მოაგროვონ მიტის მეტ[ი] მთაგორიან ადგილების, გზებისა და ხიდ[ე]ბოგირების სრულიათ მინგრევ-მონგრევი[ს] გამო, ეს ნახევარიც გზაზე ეფანტება, [illegible] ვინაიდან ეს მესამე წელიწადია არც ერ[]თი გზა-ბოგირი არ შეკეთებულა, რაი[ც] მიეწერება ერობის უმოქმედობას.

**ლუდ—წყლელი.**

— —

### ს. ჩიბათი (გურია)

ს. ჩიბათი, ეს ის ჩიბათია, სადაც მცხო[]ვრებლების დიდი უმრავლესობა თანაუ[გ]რძნობს კომუნისტურ პარტიას. დღ[] ურწმუნო თომანიც დარწმუნდნენ იმაშ[ი] რომ კომ. პარტია, ერთათ ერთი პარ[]ტიაა მშრომელი მასის ინტერესების გა[]მომხატველი და დამცველი. ხედავს ყვე[]ლა ამას ადგილობრივი მართველი პარ[]ტია, და მიუხედავად იმისა, რომ დღ[] ლეგალურათ მოქმედებს კომინისტურ[] პარტია ეუბნება ყველა პარტიის წევრ[] და თანამგრძნობთ, რომ ჭკუით იყავი[] და კრინტიც არ დაძრათ კომ. პარტ[] სასარგებლოთ, თორემ დაგიჭერთო. რ[] არის ასეთი უმსგავსო საქციელი მართვე[]ლი პარტიის მხრივ? ნუ თუ ჩიბათის მენ[]შევიკები დამოუკიდებლათ მოქმედებენ[] ნუ თუ ბატონებო არ უწევთ ანგარიშ[] ჩვენს ლეგალურ მუშაობას, რომელი[ც] მიღებულია საბჭ. რუს. ზავის შეკვრი[ს] თანახმათ? თუ გძაგთ და ვერ მოგინელე[]ლებიათ ბ. მენშევიკებო კომ. პარტ. ლეგალური არსებობა? მაგრამ ერთ რამე[] მოგაგონებთ ბურჟუაზიის მესვეურნო, რაც უნდა გძაგდეთ და რაც უნდა რეპ[]რესიები მიიღოთ, თქვენი უმსგავს საქ[]ციელით მაინც ვერ შეაჩერებთ კომ. პარტ. ზრდას და განვითარებას და ერთ[] ბრწყინვალე დღეს საქართველოს მთელ[ი] მუშათა მასსა სულერთიანათ ზურგს შე[]გაქცევთ.

**გურიევი.**

## კომუნისტების დევნა გრძელდება.

თავხედი და უპასუხისმგებლო მენშევიკური პარტია განაგრძობს გურიის კომუნისტების დევნას. 10 სექტემბერს სოფ. ზომლეთში ნაშვადღევის 4 საათზე ნ[] ზომლეთელის სახლში ადგილობრივი ადმინისტრაცია თავს დაესხა გურიის კომიტეტის ლეგალურ კრებას. მოითხოვეს 4 ამხანაგი ვითომდა თემის გამგეობასთან მოსალაპარაკებლად, საიდანაც ისინი აღარ დაბრუნებულან. ისინი დააპატიმრეს და გაგზავნეს ოზურგეთის სამაზრო ციხეში. შემდეგ, ღამის 10 საათზე კვლავ დაესხენ იმავე ადგილს და მოახთინეს ჩხრეკა, მაგრამ კომიტეტის სხდომა საუბედუროთ ადმინისტრაციისა დამთავრებულიყო, მათ დაედევნენ დასაჭერათ, მაგრამ ამაოთ. დაპატიმრებულნი არიან შემდეგი ამხანაგები: 1) ირაკლი ურუშაძე (ლანჩხუთის რაიონი), 2) სოლომონ დოლიძე (ამაღლების რაიონი), იაგორ კალანდაძე (ერკეთის რაიონი), 4) გოგიტიშვილი (ნატანების რაიონი). გურიის კომიტეტმა განსაკუთრებით იქონია მსჯელობა ამ აღმაშფოთებელ ადმინისტრაციის საქციელის შესახებ, რისთვისაც ის გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი ვერაგული მოქმედების წინაალმდეგ და გადაჭრით მოითხოვს აღნიშნული ამხანაგების დაუყონებლივ განთავისუფლებას.

**გურიის კომიტეტის პრეზიდიუმი.**

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა